

შპს კრალ-XXI ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს კრალ-XXI

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი	2	4 224 246	4 254 818
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3 702 231)	(3 720 288)
საერთო მოგება		522 015	534 530
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	3	(372 750)	(150 357)
სხვა შემოსავალი			
საოპერაციო მოგება		149 265	384 173
მიღებული დივიდენდი			
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი		(6 502)	
პერიოდის მოგება		142 763	384 173
სხვა სრული შემოსავალი			
სრული შემოსავალი		142 763	384 173

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის
მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

იმრან ისმაილოვი



შპს კრალ-XXI

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	63972	83 790	110,176
სულ გრძელვადიანი აქტივები		63 972	83 790	110,176
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		298 480	256 501	249,052
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	21 974	25 058	75,006
ფული და ფულის ექვივალენტები	6	17 250	15 430	10,260
სულ მიმდინარე აქტივები		337 704	296 989	334,318
სულ აქტივები		401 676	380 779	444,494
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				0
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		338 742	246 979	126,306
სულ საკუთარი კაპიტალი		338 742	246 979	126,306
გრძელვადიანი ვალდებულებები			38 600	268,541
სესხები და ფინანსური იჯარა			38 600	268,541
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	62934	95 200	49,647
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		62 934	95 200	49,647
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		401 676	380 779	444,494

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კრალ-XXI (შემდგომში - „კომპანია“) საინდივიდუალური კოდით 434163610, დაფუძნდა 2014 წლის 03 დეკემბერს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, მარნეულის სოფ. ყიზილაჯლო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობას საკვები და სასმელი პროდუქტებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
იმრან ისმაილოვი	100%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლების ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა). ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც ადაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახდები გარდა მოგების გადასახადი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახდო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო

ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარია გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვთ აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მ

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს

განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების

ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქალაღებებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2021 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2021
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	4 254 818	4 224 246
სულ	4 254 818	4 224 246

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2021
ხელფასის ხარჯი	93 087	129 840
ცვეთა და ამორტიზაცია	9 270	19 818
იჯარის ხარჯი	48 000	96 000
საპროცენტო ხარჯი		5 376
სხვა ხარჯი		121 716
სულ	150 357	372 750

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	დანადგარები	სულ
01.01.2021	125 071	125 071
შემოსვლა გასვლა		
31.12.2021	125 071	125,071
დაგროვილი ცვეთა		
01.01.2021	(41 281)	(19 818)
პერიოდის ცვეთა გასვლა	(19 818)	(26 386)
31.12.2021	(61 099)	(61 099)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება		
31.12.2021	63 972	63 972

5. მარაგები

მარაგები 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 256 501 ლარს. ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 298 480 ლარს. მზა პროდუქცია წარმოდგენილია საცალო ვაჭრობისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტებითა და სასმელებით.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25 058	21 974
სულ ფინანსური აქტივები	25 058	21 974

7. ფული და ფული ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2021
ფული ბანკში	3 330	17 027
ფული სალაროში	12 100	223
სულ	15 430	17 250

8. მიღებული სესხები

საბანკო დაწესებულებებიდან მიღებული სესხების ნაშთები 2021 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2021
სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან	38 600	0
სულ გძელვადიანი სესხები	38 600	0

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 95 200 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 62 934 ლარს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია კომპანიის მიერ საქმიანობის დროს საქონლის და მომსახურებების შეძენის შედეგად.

10. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 246 979 ლარს, 2021 წლის ბოლოსთვის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 389 742 ლარს, თუმცა გაცემულია დივიდენდი 51000 ლარის ოდენობით, რის შედეგადაც გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი შეადგენს 338 742 ლარს.

დირექტორი

იმრან ისმაილოვი

30.09.2021

